

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა  
საბჭოს მორიგი სხდომის**

**ოქმი #4**

თარიღი: 27 იანვარი, 2020 წელი

დრო: 15:00 საათი

ადგილი: დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი; მის: ჭავჭავაძის ქ. N14

**თავმჯდომარე:** გრიგოლ მახარაძე, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ოზურგეთის ოფისის კოორდინატორი, მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

**მდივანი:** თამარ ღლონტი, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი.

**ესწრებოდნენ:** საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის წარმომადგენელი ირაკლი პაპავა, ოზურგეთის ღვაწლმოსილი მოქალაქე კოტე შავიშვილი, კერძო ბიზნესის წარმომადგენელი ალექსანდრე ტულუში, პედაგოგი ხათუნა თოიძე, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ზვიად ერაძე, მეწარმე ოლეგ გობრონიძე, „პროგრესის სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე მინდია სალუქვაძე, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე მარინა თოფურია, კერძო ბიზნესის წარმომადგენელი - ლალი ჩანქსელიანი, საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ წარმომადგენელი - ვლადიმერ ხავთასი. სხდომას ასევე ესწრებოდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებით დაინტერესებული პირი რეგიონალური აქტივობის ჯგუფის წარმომადგენელი სოსო ერქომანიშვილი და გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი მარინწ ჩიხლაძე.

სხდომას მიესალმა თავმჯდომარე გრიგოლ მახარაძე, რომელმაც დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

**დღის წესრიგი:**

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გარემოს ადაპტირების საკითხები - მომხსენებელი ვლადიმერ ხავთასი;

2. ქ. ოზურგეთში გენგემის მიღების ადვოკატირების შესახებ პროექტის გაცნობა საბჭოს წევრებისთვის - მომხსენებელი მინდია სალუქვაძე;

3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მონიტორინგის წინასწარი შედეგები და რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის მერიას - მომხსენებელი გრიგოლ მახარაძე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განხილვამდე სხდომის თავმჯდომარემ წევრებს მიმართა მრჩეველთა საბჭოს სამი წევრის სტატუსის შესახებ. დებულების თანახმად ზედიზედ სამ სხდომაზე არასაკმატო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაში დგება წევრობის შეწყვეტის საკითხი. წევრთა შორის სამი - თემურ ჯახვა, ჟანა გოგატაძე და ოთარ ჩხარტიშვილი არ დასწრებიან ზედიზედ სამ გასულ სხდომას და არ შეუტყობინებიათ მიზეზის შესახებ. საბჭოს წევრთა რეკომენდაციით, კიდევ ერთხელ მოხდება მათთან დაკავშირება და დადგინდება მათი სურვილი საბჭოს წევრობის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების მოხსენება შემდეგი თანმიმდევრობით წარიმართა:

1. ქ. ოზურგეთში გენგეგმის მიღების ადვოკატირების შესახებ პროექტის გაცნობა საბჭოს წევრებისთვის - მომხსენებელი მინდია სალუქვაძე;

პროექტის ფინანსური მხარდაჭერა ფონდმა - ღია საზოგადოება „საქართველომ“ უზრუნველყო და ითვალისწინებს ორი სახის კვლევის ჩატარებას - ურბანულსა და სამართლებრივს. პროექტი მოამზადებს რეკომენდაციებს, რაც შემდგომში უნდა გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტმა გენ-გეგმის მომზადების პროცესში, ასევე შექმნის სამართლებრივ სახელმძღვანელოს და მეთოდოლოგიურ მითითებებს გენგეგმის მომზადების საფეხურების შესახებ. მუნიციპალიტეტი კი ზემოთხსენებულს გაითვალისწინებს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში.

აღნიშნულ საკითხზე დაინტერესებულმა პირმა სოსო ერქომიანიშვილმა გააკეთა კომენტარი, რომ მისასალმებელია აღნიშნული პროექტი და ასევე აღნიშნა ფუნქციონალური ზონების გამოყოფის აუცილებლობა გენგეგმის მომზადების პროცესში. მან ასევე გამოხატა თანამშრომლობის სურვილი.

სხდომის თავმჯდომარე გრიგოლ მახარაძემ კომენტარის პასუხად დასძინა, რომ აუცილებელია კონსულტაცია დაფუძნებული დოკუმენტის შექმნა და ამ მხრივ თანამშრომლობა მნიშვნელოვანი.

საბჭოს წევრის ზვიად ერაძის მოსაზრებითაც თანამშრომლობა მნიშვნელოვანია და გამოთქვა სურვილი, რომ პირადადაც ჩაერთოს, ასევე აუცილებელია დადგინდეს საით გვინდა განვითარება, კარგია ოზურგეთი რეგიონალური ჰაბის ჭრილში თუ განიხილება.

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გარემოს ადაპტირების საკითხები - მომხსენებელი ვლადიმერ ხავთასი;

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შშმ პირთა მფლობელობაში მყოფ ავტომობილებზე გასაკრავი სტიკერი მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით, თუმცა სტიკერის გაცემა და მისი შესაბამისი საბუთის გაცემა მხოლოდ ბათუმსა და თბილისში ხდება შესაბამის უწყებაში. ბატონი ვლადიმერის თხოვნაა ოზურგეთის მერიამ უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტების გაცემა, რათა შემდგომში მოხდეს მისი ასახვა შესაბამის ბაზაში. გარდა

ზემოთხსენებული საკითხისა მომხსენებლის რეკომენდაციაა ქალაქში შშმ პირთა ავტომობილების პარკირების ადგილებიც დაემატოს. ამჟამად სამი ადგენილია ასეთი დანიშნულების. განხილულ იქნა ასევე კერძო მეწარმეთა ვალდებულებები პარკირების ადგილებისა უზრუნველყოფისა და პანდუსების სტანდარტულად მოწყობის შესახებ კერძო საკუთრებაში არსებული შენობების მიმდებარედ. თუმცა აქვე გაიჟღერა კომენტარმა, რომ რომ ეს საკითხი მშენებლობის პროცესში უნდა იყოს დამტკიცებული.

**რეკომენდაცია:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოავლინოს შესაბამისი უწყება, რომელიც მოახდენს შესაბამისი დოკუმენტებისა და სტიკერების გაცემას, ასევე პირის სტატუსის შესაბამის ბაზაში ასახვას.

3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მონიტორინგის წინასწარი შედეგები და რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის მერიას - მომხსენებელი გრიგოლ მახარაძე.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ორგანიზებით გაკეთდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მონიტორინგი 13 მუნიციპალიტეტში და ჯამში სოფლის 59 პროექტი შემოწმდა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საქმიანობამ ხუთი დასახლება მოიცვა: დაბა ნარუჯა, მიმითი, ვაკიჯვარი, სოფ. ოზურგეთი, მზიანი. შერჩეული დასახლებები ტერიტორიული განსხვავებულობის პრინციპით შეირჩა (მათ შორის სხვა თემს მიკუთვნებული სოფლები და ა.შ.) ჩატარდა გამოკითხვა - თითო სოფელში 20 ადამიანი, მერის წარმომადგენლები შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში და მუნიციპალიტეტის მერი. კვლევა არ იყო რეპრეზენტატიული. გამოკითხულთა დემოგრაფიას რაც ეხება: მამრობითი 62%, მდედრობითი 38%, ასაკი 18-30 – 13%; 31-50-40%; 50 +- 43%.

კვლევის შედეგების შეჯამება:

გამოვლენილი დადებითი ტენდენციები - მოქალაქეები სოფლის კრებებს ესწრებოდნენ სურვილით, მხოლოდ ორმა აღნიშნა, რომ რწმუნებულის დავალებით მივიდა. არიან ინფორმირებულნი განხორციელებული პროექტის შესახებ (63%). მოქალაქეებმა უკეთ იციან მასშტაბური პროექტების შესახებ, რომელიც არ იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებული. ეს მიუთითებს, რომ უფრო მნიშვნელოვანი პროგრამები ხორციელდება სხვა ფონდებით და სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ვერ პასუხობს ძირეულ გამოწვევებს. 77% პროცენტი მზადაა კვლავ დაესწროს მსგავს შესხვედრებს.

გამოვლენილი ხარვეზები - ყველა მუნიციპალიტეტს თითქმის ერთნაირად ეხება. პროგრამა ერთი თავი საქმის ნაცვლად ბევრს ედება და აქედან გამომდინარე არც ერთი არ გვარდება საფუძვლიანად. მაგ. მზიანში სამი პროექტი იყო დაფინანსებული და არც ერთი არ (გარე განათება, სასაფლაოს ღობის შეღობვა და ბაღის შეღობვა) განხორციელდა ხარისხიანად: გარე განათება ყველა მეხუთე ბოძზეა და უშედეგოა. თუ პრიორიტეტი განათებაა მაშინ ჯობია მთლიანად განათება გაკეთდეს კარგად. ასევე ხარვეზია, როცა შერჩეული და განხორციელებული პროექტი არ ემთხვევა გამოვლენილი პროექტის სახელს. მაგალითად იყო განხილული - ვაკიჯვარი - ცენტრის კეთილმოწყობა - ძირითადად მოხდა ნაგვის გატანა კონკრეტული ტერიტორიიდან და გაიტანეს ახლომდებარე ტერიტორიაზე. (10734 ლარი); წითელმთა - მემორიალის მოწყობა (10325 ლარი) - რა პრობლემა გადაწყვიტა ამან

გაურკვეველია. ნატანების სადგურის ტეტიროტიის კეთილმოწყობა. (29226 ლარი). გაკეთდა ბორდიური და , როგორც გამოირკვა, თანხა არაა საბოლოოდ ათვისებული. ნარუჯა - სათაური რეალურად შესრულებულს არ შეესაბამება. - ყოფილი კულტურის სახლის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სათაურქვეშ გაკეთდა ორი სკამი, სამი განათება და ბილიკი გაკეთდა. სოფ. ოზურგეთი - დასახლება პროექტისა რეალურად განხორციელებულ პროექტს არ ემთხვევა - ცენტრის კეთილმოწყობის სახელით გაკეთებულია ეკლესიის ეზო.

დარბაზში გაჟღერდა შემდეგი კომენტარები: ოზურგეთში არის 70 დასახლება, მილიონნახევარი ლარია გამოყოფილი სოფლის პროგრამის განხორციელებაზე და და აქედან გამომდინარე თავიდანვე ჩანასახშივე განწირულია მარცხისთვის; მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი უნდა შემუშავდეს ისეთი, რომელიც თავისთავად დაალაგებს ამ პროცესს- მოქალაქე უნდა მიხვდეს, რომ მისი გადასაწყვეტია. ადამიანები მონდომებულნი ჩანანა; ახალგაზრდების ჩართულობაა მნიშვნელოვანი; გამხსვილება პრობლემის გამოვლენის დონეზე უკეთესია - ანუ თემის შიგნით უბნების პრობლემების დანაწევრებულად გამოვლენამ არ აჩვენა კარგი პრაქტიკა.

**რეკომენდაცია:** ფინანსური რესურსის კონცენტრირება მოხდეს ერთ პროექტზე; პროექტების შინაარსის დაზუსტება, სათაურს უნდა ესადაგებოდეს; კონკრეტული პრობლემების მოგვარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული პროექტი; აუცილებელია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიმართული პროექტების განხორციელება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საბჭოს წევრებმა თამარ ლლონტმა და ირაკლი პაპავამ ისაუბრეს ორი პროექტის მიღწევების შესახებ: 1) გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის ერთობლივი პროექტის შედეგების გაცნობა (NDI ფინანსური მხარდაჭერა), რომელიც მდინარეებიდან ინერტული მასალების უკანონო მოპოვებასა და ზეგანაკვეთური წონის მასალით დატვირთული მანქანების მოძრაობას ეხება. ამ დროისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია 70 000 ლარი ორი სასწორის (ერთი სტაციონარული და ერთი პორტატული) შესაძენად. პროექტის გუნდი შეხვდა საპატრულო პოლიციის შესაბამის წარმომადგენელს. სწორედ ეს უწყებაა პასუხსმგებელი სასწორების ექსპლოატაციასა და მანქანების აწონვაზე. პოლიცია მზადაა შეასრულოს თავისი მოვალეობა სასწორების არსებობის შემთხვევაში. ინფრასტრუქტურის სამინისტროსაგან ველოდებით სტანდარტის მოწოდებას, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას სასწორების შეძენისას. 2) დასახლების საერთო კრების ინოვაციური მოდელის შექმნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (ევროპის ფონდის ფინანსური მხარდაჭერა)- ისაუბრეს დასახლების საერთო კრების მოწვევის სირთულეების შესახებ და იმ გამარტივებულ მოდელზე, რასაც პროექტი სთავაზობს. ასევე დამსწრეთ გააცნეს დადგენილების პროექტი და მოკლედ ისაუბრეს განხორციელების პროცესში ელექტრონული პლატფორმის გამოყენების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს საბჭოს წევრმა კონსტანტინე შავიშვილმა გამოთქვა წუხილი მუზეუმის მიმდებარე უსახურ მდგომარეობაში მყოფი და დაზიანებული ბიუსტების შესახებ, კერძოდ, შეეხო კონსტანტინე ლესელიძესა და პორფილე ჩანჩიბაძის ბიუსტებს. ისაუბრა მათ ღვაწლზე და გამოთქვა სურვილი, რომ მერიამ იზრუნოს მათ აღდგენა-განთავსებაზე. საბჭოს წევრთა უმრავლესობის მოსაზრებით, სასურველია ბიუსტები აღდგენილი სახით ისევ მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდეს თემატური კავშირის გამო.